

შპრიცებისა და ნემსების პროგრამით სარგებლობის

კმაყოფილების კვლევა

თამარ კეშელავა

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტის ადიქციის კვლევების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

ადიქციის კვლევები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ირმა კირთაძე, M.D., Ph.D(c)

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამარ კეშელავა

29.06.2017

აბსტრაქტი

ამოცანა: მსოფლიო პრაქტიკა აჩვენებს, რომ ზიანის შემცირების მიზნით, შნპ სერვისის დანერგვამ ბევრ ქვეყანაში დადებითი გავლენა მოახდინა სისხლით გადამდები დაავადებების პრევენციის თვალსაზრისით. საქართველოში, შნპ სერვისებით სარგებლობის კმაყოფილების კვლევა აქამდე არ ჩატარებულა. კვლევის მიზანი იყო, ბენეფიციარი თავად გამხდარიყო შნპ სერვისების გაუმჯობესების პროცესში მონაწილე და მომხდარიყო შნპ სერვისის მოსარგებლეთა კმაყოფილების შეფასება. მნიშვნელოვანი იყო მათი თვალთ დანახული პრობლემები, თუ როგორ გრძნობენ თავს, რა მოსწონთ და რა ნაკლოვანებებს ხედავენ. ასევე, რა საჭიროებებია თითოეულ ქალაქში არსებულ შნპ სერვის ცენტრში, რის გაუმჯობესებასა ან/და დამატებას საჭიროებს პროგრამა, რათა უფრო მიმზიდველი გახდეს სერვისით მოსარგებლეთათვის.

მეთოდი: შერჩეული იქნა არაალბათური, რაოდენობრივი, ჯვარედინ-სექციური კვლევა, თოვლის გუნდის მიდგომით, საქართველოს 6 ქალაქში (თბილისი, ბათუმი, გორი, ქუთაისი, რუსთავი, ოზურგეთი). გამოკითხვა ჩატარდა წინასწარ შედგენილი სტრუქტურირებული, თვითადმინისტრირებადი კითხვარის მეშვეობით. დაცული იყო კონფიდენციალურობა, კვლევაში მონაწილეობა იყო ნებაყოფლობითი. კვლევის მონაცემთა სტატისტიკური ანალიზისთვის გამოყენებული იქნა SPSS და ჩატარდა უნივარიაციული და სიხშირეთა კროსტაბულაციური ანალიზი.

შედეგები: კვლევაში მონაწილეობა მიიღო 18- 65 წლამდე ასაკის შნპ სერვისით მოსარგებლე 258 პირმა. გამოკითხულთა რაოდენობამ თბილისში შეადგინა 53.8% (136 რესპოდენტი), გორში 8.7% (22), ბათუმში 8.7% (24), ოზურგეთში 6.7% (17), რუსთავი 10.3% (26), ქუთაისში - 11.1% (28). კვლევაში მონაწილეთა უმრავლესობას (196; 77.5%) მამაკაცები შეადგენდნენ, 56 ქალი და 1 ტრანსგენდერი. უმუშევრობის დონე მაღალია და 32.8% (83 რესპოდენტი) შეადგინა. კვლევის მომენტისთვის ქორწინებაში იმყოფებოდა 32.8% (83 რესპოდენტი).

კვლევაში მონაწილეთა უმრავლესობა 58.5%(151 რესპოდენტი) კმაყოფილი იყო შნპ-ში მიღებული სერვისებით. ყველაზე სასურველი სერვისებია: შპრიცები და ნემსები, სტომატოლოგია და ნალოქსონი. მამაკაცები უფრო მეტად სარგებლობენ შნპ სერვისებით ვიდრე ქალები. გამოკითხულთა უმეტესობა ისურვებდა: სხვადასხვა სამედიცინო მომსახურებისა და ადვოკატის მომსახურების დამატებას, გაცემული შპრიცებისა და ნემსების რაოდენობის გაზრდას. ასევე, უმრავლესობამ (73%) აღნიშნა, რომ მათთვის მისაღებია ავტომატური დისპენსერიდან სტერილური მასალის მიღება და სასურველია შნპ სერვის ცენტრების სამუშაო საათების გაზრდა.

დასკვნა: ჩატარებული რაოდენობრივი კვლევა გვამლევს მნიშვნელოვან ინფორმაციას საქართველოში შნპ სერვისით მოსარგებლეთა კმაყოფილების, საჭიროებების და ყველაზე ხშირად გამოყენებადი სერვისების შესახებ. კვლევით მიღებული შედეგების საფუძველზე შესაძლებელია პრევენციული ღონისძიებების პრიორიტიზაცია და სასურველი სერვისების დამატება, არსებულის გაუმჯობესება, ქალებისთვის გენდერულად სენსიტიური მიდგომის დანერგვა. ყოველივე ზემოთქმული ხელს შეუწყობს გაუმჯობესებული და საჭიროებებზე მორგებული სერვისების მიწოდებას, ასევე მეტი ქალი მომხმარებლის სერვისებში ჩართულობის ხელშეწყობას.

საკვანძო სიტყვები: შნპ, კმაყოფილების კვლევა, ნიმ, აივ-შიდსი, C ჰეპატიტი

Abstract

Goal: There has been yet no survey conducted in Georgia to identify the user satisfaction rate of SNP services. The goal of the survey was to include beneficiaries themselves in the process of improving the SNP services. It was interesting to see the SNP services from the beneficiaries' perspective, how they feel about it, what they like and what are the shortcomings they can identify.

Methodology: During the quantitative, non-random sampling, cross-sectional survey, using a snow ball method and specially designed survey questionnaire, the survey was conducted in 6 cities of Georgia. The data collection method was self-administrative - answers were noted on a piece of paper by a pen. Confidentiality and beneficiaries' right were fully preserved. Before completing of the questionnaire, all service users were briefed about objectives of their participation in the given survey, their responsibilities and rights, which was followed by their signing of the agreement form. The obtained data was imported to SPSS for further statistics analysis, univariate and frequencies cross-tabulation analysis.

Outcomes: 258 users of the SNP were questioned in 6 cities of Georgia within the age group of 18-55, The number of participants from Tbilisi were– 53.8%, Gori – 8.7% (22 respondent), Batumi – 8.7% (24 respondent), Ozurgeti – 6.7% (17 respondent), Rustavi 10.3% (26 respondent), Kutaisi 11.1% (28 respondent).

The majority of survey participants were male users of the services (77.5%) and female users comprised 22.5% (56 women and 1 transgender). The number of unemployed users is high 32.8% and 32.8% were married. Over half of the survey participants (58.5%) expressed their satisfaction with services provided by SNP. The top rated services include: syringes and needles, dentistry and naloxone. Men are more frequent users of SNP services than women. Most of the survey participants would like to have more medical services added to the current portfolio of SNP services. Also, having an “ATM” for sterilized tools and increasing the working hours of SNP service centers.

Summary: The conducted quantitative survey provides important information about the SNP services in Georgia, namely satisfaction rate of its users, their need and mostly used services. It highlights areas for future recommendations to advance SNP existing services and/or add new services as requested.

Key words: SNP, satisfaction survey, IDU, HIV-AIDS, Hepatitis C

მადლობის გამოხატვა

მადლობას ვუხდით, ნარკოტიკების მომხმარებელთა საქართველოს ქსელს (INPUD) გაწეული დახმარებისთვის და ფინანსური მხარდაჭერისათვის, რამაც შესაძლებელი

გახადა კვლევის ფარგლებში ქალი მომხმარებლების ჩართვა.

მადლობას ვუხდით “ახალი ვექტორი” ხელმძღვანელს კოკა ლაბარტყავას კვლევის ჩატარების ხელშეწყობისთვის და აუცილებელი ინფორმაციის მოწოდებისთვის.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია კვლევაში მონაწილე ნემსებისა და შპრიცების პროგრამის ცენტრების ხელმძღვანელების კვლევაში აქტიური მონაწილეობა და თანამშრომლობა: თბილისში - ქალთა საერთაშორისო ორგანიზაცია “აკესო”, “ჰეპა +”, “ახალი ვექტორი”, გორში - “ნაბიჯი მომავლისკენ”, ბათუმში - ა/ო “იმედი”, ქუთაისში “ახალი გზა”, რუსთავში “ახალი ვექტორი” და ოზურგეთში “ფენიქსი 2009”.

უდიდეს მადლიერებას გამოვხატავ ყველა იმ ბენეფიციარის მიმართ, ვინც გამოიხატა დრო და დათანხმდა კვლევაში მონაწილეობას. თითოეული რესპონდენტის, შპპ პერსონალის თუ ბენეფიციარის, ნდობისა და წვლილის გარეშე წინამდებარე კვლევის განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა. და ბოლოს უღრმესი მადლობა კვლევის ხელმძღვანელს - ირმა კირთაძეს პროფესიონალური დახმარებისთვის.

ს ა რ ზ ე ვ ი

შპრიცებისა და ნემსების პროგრამის შესახებ ლობის	I
კმაყოფილების კვლევა	I
გ ა ნ ა ც ხ ა დ ი	II
ა ბ ს ტ რ ა ქ ტ ი	III
Abstract.....	V
მ ა დ ლ ო ბ ი ს გ ა მ ო ხ ა ტ ვ ა	VI